ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 35

2025 წლის 24 ნოემბერი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის დებულებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის №43 დადგენილების და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №24 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №24 დადგენილება.

მუხლი 2.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის დებულებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის №43 დადგენილება.

მუხლი 3.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე საბა კბილაშვილი